



საჩუქრისაუბრო აუდიტი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

17 სექტემბერი, 2019 წელი

საქართველოს თავდაცვის მინისტრს,

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგეს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	3
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	11
	3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	12
	საკონტაქტო ინფორმაცია	16

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

ცენტრალური აპარატი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი.

ფინანსების მართვის დეპარტამენტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სამოქალაქო ოფისის, ფინანსების მართვის დეპარტამენტი;

გენ. შტაბი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი;

J4 - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი;

სამხედრო ქვედანაყოფი - თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან.

წვრთნების სარდლობა - სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა.

ავიაციის სარდლობა - სამინისტროს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა.

ჯალსი - ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშების სისტემის ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოება:

სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურისა და კონტროლის გარემოს ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება ანგარიშგების მომზადების პროცესში სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის არასათანადო ინფორმაციის გაცვლაში, დროში შეუსაბამოდ გახანგრძლივებულ კომუნიკაციაში, და ფინანსების მართვის დეპარტამენტის, როგორც მაკონტროლებელი რგოლის სისუსტეში.

აღრიცხვის პრაქტიკისა და ინფორმაციის არასათანადო კონტროლის გამო, სამხედრო ქვედანაყოფების სააღრიცხვო ინფორმაციაში მოცემული საბალანსო ანგარიშების ნაშთები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებული ნაკლოვანებები გამოიხატება შემდეგში:

-) ქვედანაყოფები სარდლობებისგან დამოუკიდებლად ამზადებენ ფინანსურ ინფორმაციას და წარუდგენენ ფინანსების მართვის დეპარტამენტს, რაც არ შეესაბამება დებულებით დადგენილ სისტემას.
-) სარდლობები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას მის დაქვემდებარებაში არსებული ქვედანაყოფების აქტივების შესახებ. ამასთანავე, სარდლობების მიერ ფინანსების მართვის დეპარტამენტში გაგზავნილი ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ მათი, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების აქტივების შესახებ ინფორმაციას და არ არის გათვალისწინებული დაქვემდებარებული ბრიგადების მონაცემები.
-) თავდაცვის ძალებში აღრიცხვის პრაქტიკა არ შეესაბამება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს. კერძოდ, ჯალუსი ახორციელებს სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის მოძრავ-უმძრავი ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების აღრიცხვასა და კონტროლს. აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა რაოდენობრივი შედარების გზით.
-) ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური ჯამური თანხებით და არ ხდება ქვედანაყოფების ფინანსური აღრიცხვის კონტროლი ყოველდღიური ტრანზაქციის დონეზე. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო ძალებისთვის დამახასიათებელია და ხშირია აქტივების მოძრაობა (ერთმანეთისთვის გადაცემა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში დამოუკიდებლად (ინდივიდუალურ დონეზე) წარმოდგენილი აქტივების რაოდენობრივი მონაცემები და აქტივებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს ურთიერთშესაბამისობასა და სანდოობას.

რეკომენდაცია N1

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავოს ერთიანი, სრულყოფილი ორგანიზაციული სისტემა და ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას, ნაშთებისა და ოპერაციების ურთიერთშესადარისობას, აღრიცხვის დროულობას, სისრულეს და სიზუსტეს. კერძოდ:

-) ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობამ, სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისთვის შეიმუშავოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მიიღება აღქმადი, შესაბამისი, საიმედო და შესაძარისი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის;
-) სარდლობების ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურებმა, უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება და კონტროლი როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში;
-) სამინისტრომ განაახლოს და დაამტკიცოს ქონების აღრიცხვის ორგანიზებისა და წარმოების წესების შესახებ 1994 წელს ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, რომელიც შესაბამისობაში იქნება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამის აღრიცხვას;
-) სამინისტრომ უზრუნველყოს როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში საბუღალტრო პროგრამების დანერგვა/გამოყენება.

**1.2 მარაგების და ძირითადი
აქტივების
ინვენტარიზაციის შესახებ**

გამოვლენილი გარემოება:

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ არ არის სარწმუნო ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათი შედეგები. ინვენტარიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს ყველა ქვედანაყოფში ერთიანი პოლიტიკით, არ არის წარმოდგენილი შემაჯამებელი ოქმები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამხედრო ქვედანაყოფების წლიური ნაშთები არსებითად განსხვავდება როგორც ფინანსების დეპარტამენტში არსებული ბრუნვითი უწყისების ნაშთებისგან, ისე ჯალუსის მიერ წარდგენილი ნაშთებისგან. აღნიშნული ტიპის უზუსტობებს კი უნდა ავლენდეს ჩატარებული ინვენტარიზაციები. 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული ინვენტარიზაციის შედეგები.

ზემოაღნიშნული გარემოებების შედეგად, სამინისტრო არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საკუთრებაში არსებული მარაგების და ძირითადი აქტივების სისრულესა და არსებობაზე. აღნიშნული მიუთითებს აქტივების მართვასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე და წარმოშობს დანაკარგების რისკებს.

რეკომენდაცია N2.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ შეიმუშავოს ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პოლიტიკა, ასევე სახელმძღვანელო

სამინისტროს ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფის შესაბამისი პროცედურების დაცვით ინვენტარიზაციების ჩატარება.

1.3 არაფინანსური აქტივები

1.3.1 მატერიალური მარაგები

გამოვლენილი გარემოება: სამინისტროს არაფინანსური აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა სისტემური პრობლემები, **კერძოდ:**

1. სხვა ქვეყნის მთავრობის მიერ გრანტის სახით 2018 წელს გადმოცემული 13,351.0 ათასი ლარის შეიარაღება და სათადარიგო ნაწილები, არ არის აღრიცხული ბუღალტრულად.

აღურიცხაობის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გრანტის სახით მიღებული საქონელი ჯალუსის საწყობებში ხდება პირველადი დოკუმენტაციის გარეშე, შესაბამისად უცნობია როგორც მიღებული საქონლის ღირებულება, ისე ინფორმაცია მომწოდებლის შესახებ. ფინანსების მართვის დეპარტამენტი არ არის ინფორმირებული აღნიშნული აქტივების არსებობის შესახებ.

2. 2018 წელს არ არის აღრიცხული¹ ჯალუსის მიერ მიღებული 97,424.5 ათასი ლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა. აღნიშნული საქონელი 2019 წლის ივნისის თვემდე არ არის განბაჟებული. ამავდროულად საქონლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ზემოაღნიშნული თანხით წარმოდგენილია როგორც დებიტორი, მიუხედავად იმისა რომ ტექნიკა აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების „დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ ანგარიშზე ნაშთად ირიცხება 661,915.0 ათასი ლარი. აღნიშნული ნაშთის წარმოშობა უკავშირდება წლების მანძილზე რეალურად მიღებულ განუბაჟებელ საქონელს², რომელიც აღირიცხებოდა მოთხოვნებში. შეცდომის გასწორების მიზნით, დებიტორული დავალიანებები ჩამოიწერა და დროებით მათი ასახვა მოხდა „დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება“-ის ანგარიშზე. ფინანსების მართვის დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას, თუ რომელ ქვედანაყოფებშია აღნიშნული საქონელი და როგორ ხდება მისი ხარჯვა წლის განმავლობაში, თუმცა ქვედანაყოფებში ხდება შესაბამისი დოკუმენტის შედგენა საქონლის რაოდენობრივი ხარჯვის შესახებ.

„დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ ანგარიშიდან 2018 წლის 31 დეკემბერს 9,614.2 ათასი ლარი გადატანილ იქნა დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ტრანზაქციის საფუძველი, რაც მიაჩნდება აღრიცხვის ნაკლოვანებებსა და კონტროლის არარსებობაზე.

რეკომენდაცია N3.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და საქონლის მიღება/შენახვა/აღრიცხვაზე პასუხისმგებელ ერთეულებს შორის მოქნილ კომუნიკაციას და უზრუნველყოფს აქტივების სათანადო აღრიცხვა/კონტროლს.

¹ სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენასთან-მუხლი 1627 229 დაკავშირებული მარაგები

² 2007-2008 წლებში უცხოურ ვალუტაში არარეზიდენტი მიმწოდებლებისაგან შეძენილი საქონელი

1.3.2 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოებები:

ვერ მოვიპოვეთ რწმუნება არაფინანსური აქტივების სისრულესა და სისწორეზე, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ჯალუსის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს³;
- არაფინანსური აქტივების დიდი მოცულობა აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, მაგალითად: სამინისტროს ფლობს საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ 79,768.2 ათას კვ.მ მიწას, რომელიც წარმოდგენილია ღირებულების გარეშე.
- ბალანსზე ირიცხება როგორც შენობა-ნაგებობის, ასევე მიწის რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაურეგისტრირებელია როგორც სახელმწიფო ქონება;
- დღემდე სამინისტროს ბალანსზე ირიცხება დიდი რაოდენობის გასხვისებული სამხედრო ობიექტები, სადაც არსებული შენობები დაინგრა და მათ ადგილზე აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ აქტივებზე ვერ მოიძებნა სამართლებრივი დოკუმენტაცია ბალანსიდან მოსახსნელად;

რეკომენდაცია N4.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ განახორციელოს ბალანსზე რიცხული იმ შენობა-ნაგებობების ბალანსიდან ამოღება, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

1.3.4 დანაკლისები

გამოვლენილი გარემოება:

მატერიალური ფასეულობების მნიშვნელოვანი ნაწილი აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად.

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში: მოთხოვნების, მატერიალური მარაგების, ძირითადი აქტივების მუხლები შეიცავს 2008 წლის ომის შედეგად განადგურებულ/დაკარგულ აქტივებს. ქვედანაყოფებისგან წარმოდგენილი ინფორმაციიდან აქტივების უმეტესი ნაწილის ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან აღრიცხულია რაოდენობრივად. აუდიტის შედეგად შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა დანაკლისად აღიარებული მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი აქტივების თანხობრივი იდენტიფიცირება, რამაც 60,904.8 ათასი ლარი შეადგინა.

³ ინვენტარიზაციის შედეგების შემჯავებელ ოქმებში დაფიქსირებულია, რომ საბინაო ფონდის 95% პრივატიზებულია (საცხოვრებელი ბინები, რომლებიც წლების მანძილზე საკუთრებაშია გადაცემული სამხედრო მოსამსახურეებისთვის), თუმცა დღემდე ირიცხება ბალანსზე. (აღმოსავლეთის ცენტრი- 102.9 მლნ. ლარი და დასავლეთ ცენტრი 125.9 მლნ. ლარი)

სამინისტროს განმარტებით, დანაკლისების შესახებ ინფორმაცია გადაგზავნილია სამხედრო პოლიციაში. თუმცა შემდგომი რეაგირების შედეგების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N5.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, დანაკლისებთან დაკავშირებით სამინისტრომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, დაადგინოს სამართალდამცავი უწყებებისთვის გადაცემული საკითხების სტატუსი და გამოძიების შედეგები, ხოლო ისეთი დანაკლისები, რომელთა მიმართაც დაწყებული არ არის წარმოება, შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეს შესაბამის უწყებებს;

1.3.5 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის მუხლის ნაშთი შემცირებულია 133,746.4 ათასი ლარით.

აღნიშნული ღირებულების ქონება შესაბამისი დოკუმენტაციის გაუფორმებლობის გამო 2018 წლამდე აღირიცხებოდა დაუსრულებელ მშენებლობად. თუმცა, ამ აქტივებზე სამშენებლო, სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია 2005-2010 წლებში და ამასთან ექსპლუატაციაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩამოწერილია აქტივები, რომელთა სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოების დასრულების პერიოდი დაუდგენელია.
- 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების მუხლი წარდგენილია გაზრდილი ნაშთით, კერძოდ არ არის განხორციელებული 2,562.8 ათასი ლარის რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე, კერძოდ:

 - 1,214.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებზე, 2018 წლის დეკემბერში გამოცემულია ექსპლუატაციის აქტი, რაც ადასტურებს სამუშაოების დასრულებას. თუმცა მისი ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელდა მომწოდებლისგან ხელმოწერილი აქტის (ექსპლუატაციის აქტის) სამინისტროში მიღების თარიღით 2019 წელს;
 - 500.3 ათასი ლარის სამუშაოები დასრულებულია და შესაბამისად გამოცემულია ექსპლუატაციის აქტი. თუმცა, დაგვიანებული რეაგირების გამო, მისი გაგზავნა მიმწოდებელთან ხელმოწერის მიზნით არ განხორციელებულა და შესაბამისად არ არის აღრიცხული.
 - 2018 წლისთვის 848.5 ათასი ლარის სამუშაოები დასრულებულია და სამუშაოები მიღებულია ხარისხის კონტროლის სამსახურის მიერ, მაგრამ დაგვიანებული რეაგირების შედეგად ექსპლუატაციაში მიღების აქტი მომზადებული არ არის და შესაბამისად არ არის აღრიცხული.

ზემოაღნიშნული სააღრიცხვო ნაკლოვანებები დაკავშირებულია ბიზნეს პროცესში ჩართული პირების ფუნქცია მოვალეობების არასწორ განაწილებასთან. არ არის შემუშავებული დეტალური ინსტრუქცია სამშენებლო სამუშაოების კონტროლისა და აღრიცხვის ვადებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N6.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს აქტივებზე დასრულებული სამუშაოების დროულად აღრიცხვასა და კონტროლს.

1.4 მოთხოვნები და ვალდებულებები

1.4.1 დებიტორული დავალიანება

გამოვლენილი გარემოება: სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების 50% - თანხით 266,426.8 ათასი ლარი წარმოადგენს ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებზეც მათი წარმოქმნიდან (1996-2014 წელი) არ განხორციელებულა მოძრაობა, შესაბამისად მათი დაფარვის ალბათობა მცირეა. დავალიანებების მნიშვნელოვან ნაწილზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები.

მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით ნაშთი გაზრდილია 97,424.5 ათასი ლარით. აღნიშნული თანხის შესაბამისი მარაგები მიღებულია, თუმცა არ არის აღრიცხული და შესაბამისად არ არის ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება.

მოთხოვნებთან დაკავშირებით ასევე გამოვლენილია შემდეგი ნაკლოვანებები:

- ვერ დასტურდება 143,497.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანების არსებობა, ვინაიდან სამინისტრომ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- სამინისტროს განმარტებით, ერთ-ერთ კომპანიასთან, რომლის მიმართაც 2007 წელს წარმოქმნილია მოთხოვნა 8,251.4 ათასი ლარზე, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან ვერ დგინდება არის თუ არა მოწოდებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.
- აუდიტორული პროცედურებით⁴, ვერ დასტურდება 2018 წლის ბოლოს არსებული 5,273.1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

ყოველივე ზემოთხსენებული შეუსაბამოებები, განპირობებულია იმით რომ, სამინისტროში არ ტარდება მოთხოვნების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად⁵. დებიტორ ორგანიზაციებთან არ ფორმდება ურთიერთშეძარების აქტები და არ ტარდება სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალურობის დასადგენად.⁶

⁴ 2018 წლის ბოლოსთვის 250 ორგანიზაციის ნაშთების დადასტურების მიზნით, შეირჩა 105 ორგანიზაცია და გაიგზავნა დასტურის წერილები, რაც მთლიანი დებიტორული დავალიანების 90%-ს მოიცავს. აუდიტის ჯგუფმა პასუხი მიიღო 21 ორგანიზაციიდან, ხოლო 11 ორგანიზაციაში, რომლის დებიტორული დავალიანება შეადგენს 13,829.5 ათასი ლარს, გაგზავნილი წერილი მობრუნებულია უკან.

⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;

⁶ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

1.4.2 კრედიტორული დავალიანება

გამოვლენილი გარემოება:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან, 14,619.9 ათასი ლარი მომდინარეობს 1997-2010 წლებიდან. აქედან 30 ორგანიზაცია, რომლის მიმართ სამინისტროს ერიცხება 3,166.4 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება აღარ ფუნქციონირებს, ხოლო 11,454.7 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია „შრომის ანაზღაურების“ მუხლით.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით⁷, ვერ დასტურდება 2018 წლის ბოლოს არსებული 4,137.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსზე რიცხული 525,530.2 ათასი ლარის მოთხოვნებისა და 66,209.2 ათასი ლარის ვალდებულებების რეალურობა, უტყუარობა და სიზუსტე ვერ დასტურდება.

რეკომენდაცია N7.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

დავალიანებების ნაშთების რეალურობის დასადგენად, შეიქმნას მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიამ დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნის მომზადებისას გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:

1) იძებნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ანგარიშზე რიცხული დავალიანების სისწორე და შესაძლებელია თუ არა სააღრიცხვო რეგისტრებში არსებული ჩანაწერებით ზუსტად და საიმედოდ კონტრაგენტების იდენტიფიცირება და დადგენა;

2) ანგარიშზე რიცხული ნაშთის წარმოშობის საფუძველი აკმაყოფილებს თუ არა აქტივის/ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს;

3) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სხვა.

⁷ 2018 წლის ბოლოსთვის 184 ორგანიზაციის ვალდებულებების ნაშთების დადასტურების მიზნით, შეიქმნა 11 ორგანიზაცია და გაიგზავნა დასტურის წერილები, რაც მთლიანი კრედიტორული დავალიანების 85%-ს მოიცავს. აუდიტის ჯგუფმა პასუხი მიიღო 8 ორგანიზაციიდან.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოება:

შრომის ანაზღაურების საკითხების კონტროლის მიზნით, სამინისტრომ 2018 წელს დაანერგა შიდა კონტროლის მექანიზმები. კერძოდ, ფინანსების მართვის დეპარტამენტმა დაიწყო შრომის ანაზღაურების მუხლით გადარიცხული თანხების შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შემოწმება.

სამინისტროში არსებული პრაქტიკის შესაბამისად 2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში მოსამსახურეებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან თანხები გაიცემა როგორც ვადიანი, ასევე უვადო მინდობილობების საფუძველზე. აუდიტორული პროცედურებით გამოვლენილია თანხის ჩარიცხვის ფაქტები ისეთი მინდობილობების საფუძველით, რომლებსაც მოქმედების ვადა აქვს გასული.

რეკომენდაცია N8.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს

შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესის კონტროლის მიზნით, პრევენციული კონტროლის მექანიზმების დაანერგვა და მინდობილობების საფუძველზე გაცემული თანხების შესაბამისი კონტროლი.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1.

სამინისტროს

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის და შესაბამისად, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, ინვენტარიზაციის შედეგებთან დაკავშირებით, კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილებები.

· ინვენტარიზაციით გამოვლენილ დანაკლისებთან დაკავშირებით, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, დაადგინოს სამართალდამცავი უწყებებისთვის გადაცემული საკითხების სტატუსი და გამოძიების შედეგები, ხოლო ისეთი დანაკლისები, რომელთა მიმართაც დაწყებული არ არის წარმოება, შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეს შესაბამის უწყებებს;

· ინვენტარიზაციით გამოვლენილი მატერიალური ფასეულობები, რომლებიც მხოლოდ რაოდენობრივად (ღირებულების გარეშე) არის აღრიცხული, შეფასდეს მათ მიღებაზე (შემენა, წარმოება და ა.შ.) გაწეული დანახარჯების ღირებულებით. არსებული დოკუმენტაციით მათი ღირებულების განსაზღვრის შეუძლებლობის ან დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, აქტივების ღირებულება განისაზღვროს შესაბამისი სპეციალისტის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

· სამხედრო შეიარაღების ნაწილში (სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის) მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით განისაზღვრება ფასეულობათა ღირებულება.

შესრულების მდგომარეობა:

შეუსრულებელი

რეკომენდაცია N2.

სამინისტროს

მიზანშეწონილია, სამინისტრომ გამოუყენებელი ფასეულობები (რომლებზეც არ არის დატანილი სამსახურის აღმნიშვნელი რაიმე სახის ატრიბუტიკა) შემდგომი განკარგვის მიზნით გადასცეს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

შესრულების მდგომარეობა:

ნაწილობრივ შესრულებული

მიმდინარეობს ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მიერ საავტომობილო ტექნიკისა და საწვავ-საპოხი მასალების გადაცემის პროცესი.

მომზადდა ქონების ნაწილის ნუსხა, რომელიც აღარ ესაჭიროება თავდაცვის სამინისტროს და დაგეგმილია ქონების გადაცემის შეთავაზება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის.

შესაბამისად, მიმდინარე პერიოდისათვის რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

რეკომენდაცია N3. სამინისტროს	ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის, შესაბამისად, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ განახორციელოს ბალანსზე რიცხული იმ შენობა-ნაგებობების ბალანსიდან ამოღება, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	2018 წელს სამინისტროს ინიციატივით შედგა უწყებათაშორისი შეხვედრა აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით. სამინისტროს განმარტებით, საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.
რეკომენდაცია N4. სამინისტროს	არაფინანსური აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია სამინისტროს სტრუქტურებს შორის კოორდინირებული მუშაობა და კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად პასუხისმგებელი რგოლის/პირის მკაფიო განსაზღვრა.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	
რეკომენდაცია N5. სამინისტროს	მნიშვნელოვანია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების ჩატარება და დაურეგისტრირებელი შენობებისა და მიწის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	სამინისტრომ პრობლემის მოსაგვარებლად დაიწყო მუშაობა. კერძოდ, ინტენსიურად მიმდინარეობს მიწისა და შენობების შეფასების პროცესი, აზომვითი სამუშაოების ჩატარება ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მიზნით.
რეკომენდაცია N6. სამინისტროს	სამინისტრომ ძირითადი კაპიტალის მოხმარების სიზუსტის უზრუნველსაყოფად განახორციელოს ძირითადი აქტივების რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	გარკვეული პერიოდულობით ხდება ძირითადი აქტივების კლასიფიკაციის სისწორის გადახედვა და დოკუმენტების მოძიების შემდგომ რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე.

რეკომენდაცია N7. სამინისტროს შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	სამინისტრომ განიხილოს „აქციები და სხვა კაპიტალის“ N1520 ანგარიშზე რიცხული 46,668.1 ათასი ლარის საკითხი და მიიღოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილება. 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია რეკომენდაციის გათვალისწინებით.
რეკომენდაცია N8. სამინისტროს შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	სამინისტრომ უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული აქტივების კლასიფიკაციის სისწორის შესწავლა და კორექტირება განხორციელდეს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში, რაც ასევე წარმოდგენილი იქნება განმარტებით შენიშვნებში. გარკვეული პერიოდულობით ხდება ძირითადი აქტივების კლასიფიკაციის სისწორის გადახედვა და დოკუმენტების მოძიების შემდგომ რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე.
რეკომენდაცია N9. სამინისტროს შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	დავალიანებების ნაშთების რეალურობის დასადგენად, შეიქმნას მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიამ დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვის მომზადებისას, გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები: 1. იძებნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ანგარიშზე რიცხული დავალიანების სისწორე და შესაძლებელია თუ არა საადრიცხვო რეგისტრებში არსებული ჩანაწერებით ზუსტად და საიმედოდ კონტრაგენტების იდენტიფიცირება და დადგენა. 2. ანგარიშზე რიცხული ნაშთის წარმოშობის საფუძველი აკმაყოფილებს, თუ არა აქტივის/ ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს. 3. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სხვ. 2019 წელს შედგა შესაბამისი კომისიის შეხვედრა. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარე წელს განხორციელდება აქტიური სამუშაოები ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით.
რეკომენდაცია N10. სამინისტროს	ფულადი განაცემების დაანგარიშებისა და გაცემის პროცესში არსებული მაღალი რისკების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არსებული რისკების იდენტიფიცირების და შეფასების შემდგომ, სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები (მაგალითად: გათავისუფლებული მოსამსახურეების მონაცემების დეაქტივირება შესაბამის პროგრამაში, ეფექტური კონტროლი დარიცხვის უწყისების გადამოწმებაზე (ადეკვატური მონიტორინგის მექანიზმი; მინდობილობის საფუძველზე თანხების გაცემის პრაქტიკის აღმოფხვრა).

**შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ შესრულებული**

რეკომენდაციის გათვალისწინებით, დამტკიცდა ინსტრუქცია⁸ კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც არ არის საკმარისი პრევენციული კონტროლის მექანიზმების სრულყოფილი დანერგვისათვის.

გარკვეულ შემთხვევებში, სამინისტრო თანხებს გასცემს მინდობილობების საფუძველზე, შესაბამისად რეკომენდაცია არის ნაწილობრივ შესრულებული.

**რეკომენდაცია N11.
სამინისტროს**

მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უზრუნველყოს ხარჯეფექტურობის ანალიზის ჩატარება, რომლის საფუძველზეც მოხდება საშუამავლო მომსახურებისა და სამინისტროს პროტოკოლის სამსახურის გაძლიერებისთვის საჭირო რესურსების ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. იმ შემთხვევაში, თუ საშუამავლო მომსახურება აუცილებლობას წარმოადგენს, მისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შესყიდვა განხორციელდეს ტენდერით, რაც შეამცირებს არაეკონომიური ხარჯვის რისკებს.

**შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული**

რეკომენდაციის გათვალისწინებით, სამინისტრომ გამოაცხადა ბაზრის კვლევა, რომელიც განთავსდა სახელმწიფო შესყიდვების ვებ-გვერდზე. ფასთა გამოკითხვის შედეგად ქ. თბილისის მასშტაბით სამინისტროს მომსახურებას უწევს 2 კომპანია, საკუთარ ობიექტებში 0% საკომისიო ტარიფით, ხოლო რეგიონებში კომპანია შპს „ეი-ბი-სი -სერვისი“ ზღვრული 7%-იანი საკომისიო ტარიფის ფარგლებში. სამინისტროს განმარტებით, პროტოკოლის სამსახური ვერ უზრუნველყოფს რეგიონებში ეფექტურად აღნიშნული ფუნქციის შესრულებას, შესაბამისად გადაწყდა აღნიშნული სერვისის კერძო კომპანიების მიერ განხორციელება.

⁸ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს № 655 ბრძანება

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ნინო ყიფიანი - nkipiani@sao.ge ანა ზავრაშვილი - azavrashvili@sao.ge თამარ ბარბაქაძე - tbarbaqadze@sao.ge ნიკოლოზ ქაჯაია - nkajaia@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38